პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 149 (3126)

3 აგვისტო, 1966 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი

## ფოტოფინიში საათი!

◆ ბერლინი, 2 აგვისტო. 27 წლის ბარნაულელი პარაშუტისტი ქალი ლ. ერიომინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 1000 მეტრიდან დაშვების სიზუსტეზე ერთეულთა კომბინირებულ ხტომაში. II ადგილზეა ჩეხოქსარელი მ. კოსტინა, III — შომოში (უნგრეთი). ზედ წრის ცენტრში 3 სნაიპერული ნახტომი შეასრულა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა გ. გერჰარტი (გდრ).

◆ სტოკჰოლმი, 2 აგვისტო. სტუდენტ-მოჭადრაკეთა XIII მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელიც შვეციის ქალაქ ერებრუში ტარდება, ჩვენმა სტუდენტებმა II ტურიდან დაიწყეს. მათ ანგარიშით 3,5:0,5 მოუგეს მასპინძლებს.

◆ კორტინა დ'ამპეცო, 2 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში დაიწყო ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი „ბონაკოსის" თასზე. მოსკოვის „დინამოს" გუნდმა მოუგო შვეციის „ვასტრა ფრელუნდას" — 8:1.

◆ ჰამბურგი, 2 აგვისტო. მსოფლიოს ჩოგბურთის თითქმის ყველა „ვარსკვლავი" შეიკრიბა გფრ-ის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. მიმდინარე სეზონში მოპოვებული დიდი წარმატების გამო თბილისელი ა. მეტრეველი შეყვანილ იქნა 8 უძლიერეს მოთამაშეთა ჯგუფში. აქ მეტრეველს გარდა მონაწილეობენ ავსტრალიელები რ. ემერსონი, კ. ფლეტჩერი, ფ. სტოლე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი კ. დრისდეილი და სხვ. პირველ შეხვედრაში მეტრეველმა ადვილად მოუგო იამაიკელ ლამსდენს — 8:6, 6:2, 6:2, ს. ლიხაჩოვმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი პალი — 6:3, 4:6, 4:6, 10:8, 6:0.

◆ პასადენა, 2 აგვისტო. ფეხის სერიოზული დაზიანების შემდეგ, სარბენ ბილიკზე კვლავ გამოვიდა მსოფლიოს რეკორდსმენი ზანგი ტ. სმითი. 220 იარდზე მან აჩვენა 20,9 წამი. რ. ბაბკამ ბადრო ტყორცნა 63,20 მეტრზე. ეს შედეგი საუკეთესოა მიმდინარე სეზონში.

## გუშინ... სამშობლოში დაბრუნდნენ

ლონდონიდან მოსკოვს ჩამოფრინდა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდი.

შერემეტიევოს აეროდრომზე დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ ჩვენს სახელოვან ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

## სსრ კავშირის პირველობა

### „ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 17 | 12 | 5 | 0 | 37—5 | 29 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 9 | 6 | 2 | 25—13 | 24 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 18 | 7 | 10 | 1 | 19—12 | 24 |
| ცსკა | 17 | 8 | 6 | 3 | 36—24 | 22 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 8 | 6 | 4 | 31—19 | 22 |
| ასკ (როსტოვი) | 17 | 10 | 1 | 6 | 28—27 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 8 | 4 | 6 | 26—18 | 20 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 17 | 8 | 2 | 7 | 19—20 | 18 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 18 | 6 | 5 | 7 | 23—17 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 6 | 5 | 6 | 17—15 | 17 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 18 | 7 | 3 | 8 | 17—21 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 18 | 7 | 3 | 8 | 23—30 | 17 |
| „დინამო" (მინსკი) | 17 | 4 | 7 | 6 | 15—21 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 18 | 6 | 3 | 9 | 24—32 | 15 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 17 | 4 | 6 | 7 | 18—22 | 14 |
| „არარატი" (ერევანი) | 17 | 5 | 4 | 8 | 15—26 | 14 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 17 | 2 | 6 | 9 | 12—28 | 10 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 17 | 3 | 1 | 13 | 13—29 | 7 |
| ასკ (ოდესა) | 17 | 1 | 5 | 11 | 9—28 | 7 |

• • •

გუშინ გაიმართა 2 მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

დონეცკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორი" და ტაშკენტის „პახტაკორი". ტაშკენტელებმა პირველი დამარცხება განიცადეს მიმდინარე გათამაშებაში — 0:1.

მოსკოვის „დინამომ" თავის მინდორზე მიიღო ბაქოს „ნეფტიანიკი", მატჩი დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით — 2:0.

## ფეხბურთი 1966

## აგვისტოს კალენდარი

### „ა" კლასი II ჯგუფი

I ქვეჯგუფი

3. „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „თერგი" (გროზნო), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (კიროვაბადი), „დაუგავა" (რიგა) — „ლოკომოტივი" (თბილისი), „დინამო" (ტალინი) — „შირაკი" (ლენინაკანი), „რუბინი" (ყაზანი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი), „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ყუბანი" (კრასნოდარი), „დინამო" (სტავროპოლი) — „როსტსელმაში" (როსტოვი), „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „სპარტაკი" (გომელი).

11. „ყუბანი" — „სპარტაკი" ნ, „დინამო" სტ — „დაუგავა", „დინამო" (ბათუმი) — „ჟალგირისი", „შირაკი" — „ბალტიკა", „ლოკომოტივი" — „სპარტაკი" გმ, „თერგი" — „ტექსტილშჩიკი", „დინამო" კბ — „რუბინი", „ტრაქტორი" — „როსტსელმაში".

16. „როსტსელმაში" — „ყუბანი", „დინამო" ბთ — „დაუგავა", „დინამო" სტ — „დინამო" ტ, „შირაკი" — „ჟალგირისი", „ლოკომოტივი" — „ბალტიკა", „სპარტაკი" ნ — „სპარტაკი" გმ, „დინამო" კბ — „ტექსტილშჩიკი", „თერგი" — „რუბინი".

22. „სპარტაკი" ნ — „დინამო" ტ, „დინამო" კბ — „ტრაქტორი", „თერგი" — „როსტსელმაში", „ლოკომოტივი" — „ჟალგირისი", „დინამო" ბთ — „ბალტიკა", „შირაკი" — „სპარტაკი" გმ, „დინამო" სტ — „ტექსტილშჩიკი", „დაუგავა" — „რუბინი".

31. „ლოკომოტივი" — „დინამო" კბ, „თერგი" — „დინამო" სტ, „შირაკი" — „სპარტაკი" ნ, „დინამო" ბთ — „დინამო" ტ, „სპარტაკი" გმ — „ტრაქტორი", „როსტსელმაში" — „ჟალგირისი", „ყუბანი" — „ბალტიკა", „რუბინი" — „ტექსტილშჩიკი".

### „ბ" კლასი IV ზონა

საქართველოს გუნდებისთვის

4. „ენგური" (ზუგდიდი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი), „მეტალურგი" (რუსთავი) — „არაქსი" (ერევანი), „ალაზანი" (გურჯაანი) — „ლერნაგორცი" (კაფანი), „დილა" (გორი) — „სევანი" (ოქტემბერიანი), „მეშახტე" (ტყიბული) — „ლორი" (კიროვაკანი), „დინამო" (მახაჩყალა)—„დინამო" (სოხუმი), „უროჟაი" (დერბენტი) — „კოლხიდა" (ფოთი).

8. „ენგური" — „უროჟაი" (დერბენტი), „კოლხიდა" — „მაშინოსტროიტელი", „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „ლერნაგორცი" — „დილა", „არაქსი" — „მეშახტე", „მეტალურგი" — „ლორი", „ალაზანი" — „სევანი".

12. „ენგური" — „დინამო" (მახაჩყალა), „კოლხიდა" — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „დინამო" (სოხუმი) — „მაშინოსტროიტელი", „ლერნაგორცი"—„მეშახტე", „არაქსი" — „დილა", „მეტალურგი" — „სევანი", „ალაზანი" — „ლორი".

16. „ლერნაგორცი" — „ენგური", „არაქსი" — „კოლხიდა", „ლორი" — „დინამო" (სოხუმი), „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „მეტალურგი", „უროჟაი" (კრიმსკი) — „ალაზანი", „უროჟაი" (მაიკოპი) — „დილა", „ურალანი" (ელისტა) — „მეშახტე".

20. „ლერნაგორცი" — „კოლხიდა", „არაქსი" — „ენგური", „სევანი" — „დინამო" (სოხუმი), „ცემენტი" — „ალაზანი", „უროჟაი" (კრიმსკი) — „მეტალურგი", „უროჟაი" (მაიკოპი) — „მეშახტე", „ურალანი" — „დილა".

24. „არაქსი" — „დინამო" (სოხუმი), „ლორი" — „ენგური", „სევანი" — „კოლხიდა", „მეტალურგი" — „უროჟაი" (მაიკოპი), „ალაზანი" — „ურალანი", „დილა" — „ცემენტი", „მეშახტე" — „უროჟაი".

28. „ლერნაგორცი" — „დინამო" (სოხუმი), „ლორი" — „კოლხიდა", „სევანი" — „ენგური", „მეტალურგი" — „ურალანი", „ალაზანი" — „უროჟაი" (მაიკოპი), „დილა" — „უროჟაი" (კრიმსკი), „მეშახტე" — „ცემენტი".

## ტულაში



## ლვოვში



როგორც ცნობილია, ტულაში ჩატარდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა სატრეკო ველოსპორტში. 500 მეტრზე ადგილიდან გიტში ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა არმიელმა ი. კირიჩენკომ. მისი შედეგი 37,1 ახალი საკავშირო რეკორდია.

სურათზე (ზევით): ი. კირიჩენკო სარეკორდო რბოლის დისტანციაზე.

ფოტო ჰ. მახლოვისა.

„სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მძლეოსნობაში, რომელიც ლვოვში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა გუნდმა ესტაფეტაში 4 × 100 მეტრზე III საპრიზო ადგილი დაიკავა.

სურათზე (ქვევით): საქართველოს გუნდის წევრები ა. დავითაია და რ. ჩუბინიძე ამანათის გადაცემის მომენტში.

ფოტო ლ. კუდრინისა.

# სტარტზე არიან მუშა-სპორტსმენები

3000-ზე მეტმა მუშა-სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ფრენბურთში, კალათბურთში, სროლაში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქუთაისის მე-4 სამკერვალო ფაბრიკისა და აბრეშუმის კომბინატის, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, გორის ბამბეულის კომბინატის, თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, შალის სართავი და მე-6 სამკერვალო ფაბრიკების წარმომადგენლები.

ცურვაში 6 პირველი და 4 მეორე ჯგუფის 100 სპორტსმენი ასპარეზობდა. გამარჯვება ყველა სახეობაში სატრიკოტაჟო კომბინატის მოცურავეებმა მოიპოვეს. მათვე ხვდათ გუნდური პირველი ადგილიც. მეორე ჯგუფში ყველას აჯობა მე-6 სამკერვალო ფაბრიკის, სროლაში კი, გორის ბამბეულის კომბინატის გუნდებმა.

მოჭიდავეთა ასპარეზობაში გამარჯვება ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის წარმომადგენლებს ხვდათ (ინსტრუქტორი ვ. მიქაძე). მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო შალის სართავი ფაბრიკის გუნდი. ფრენბურთში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებში I ადგილზე გავიდნენ სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურელები. მაგიდის ჩოგბურთში პირველობა არავის დაუთმეს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ჩოგბურთელებმა. მეორე ჯგუფში ყველას აჯობა მე-6 სამკერვალო ფაბრიკის გუნდმა. ფეხბურთში პირველობა თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ფიზკულტურელებმა მოიპოვეს.

მძლეოსნობაში იმარჯვეს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის წარმომადგენლებმა.

დამთავრდა სპარტაკიადა, დაუშვა ასპარეზობის ალამი და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. I ჯგუფში I ადგილზე თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის გუნდი, II — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, III — გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივი. II ჯგუფში ყველას აჯობეს თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა. II ადგილზე ქუთაისის მე-4 სამკერვალო ფაბრიკის, III — თბილისის შალის სართავი ფაბრიკის კოლექტივები. კარგად მომზადებული გუნდები წარმოადგინეს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა, ქუთაისის მე-4 სამკერვალო ფაბრიკამ (ინსტრუქტორი კ. ჩოგოვაძე), თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკამ (ინსტრუქტორი ი. მორგოშია).

ი. ხაბეიშვილი.

# ტანვარჯიშის

## პირველი ქართველი მასწავლებელი

ქართული ტანვარჯიშის ისტორიაში ჯერ კიდევ დაუდგენელია ვინ იყო თანამედროვე ტანვარჯიშის პირველი ქართველი მასწავლებელი ჩვენში, საგანგებო განათლებაც რომ ჰქონდა საამისოდ.

ჩვენს ხელთ ჯერჯერობით არსებული მასალების მიხედვით, ეს მასწავლებელი უნდა იყოს იასონ გაბაშვილი, რომელსაც მოღვაწეობა 1888 წელს დაუწყია და ეს ასპარეზი სიკვდილამდე (1919 წლამდე) არ მიუტოვებია (როგორც ამას სწორად შენიშნავს ვ. აფრიდონიძე. — იხ. გაზ. „ქუთაისი", 1965 წ. 7 სექტემბერი. თუმცა ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ სრული მასალები გაბაშვილის შესახებ ადრევე გვქონდა წარდგენილი).

ი. გაბაშვილი დაიბადა 1868 წელს. 1881 წელს მას ქუთაისის პროგიმნაზიაში დაუწყია სწავლა, მაგრამ მშობლებს III კლასიდან გამოუყვანიათ და ცოტა ხნის შემდეგ გურიის ფეხოსანთა რაზმში შესულა, გამოცდა ჩაუბარებია და ურიადნიკი გამხდარა. 1887 წელს ეს რაზმი დაშლილა.

1888 წელს გაბაშვილს მიუღია ვერცხლის მედალი და მადლობა წყალდაღებულის გადარჩენისთვის. ყოფილა საუკეთესო მსროლელი. ეს არის და ეს. 1888 წელს ასეთი „განათლებისა" და „წარჩინების" მქონე კაცს მოუხერხებია სამწყობრო სიარულისა და თოფით ვარჯიშების დროებით მასწავლებლად მოწყობილიყო იმავე პროგიმნაზიაში, რომლის მერხიც ასე ნაადრევად დატოვა. 1888 წელს, როცა ქუთაისში რუსეთის იმპერატორი ჩამოვიდა, გაბაშვილი მოსწავლეებს მიუძღვებოდა ზეიმზე და ხელმწიფის ყურადღება დაუმსახურებია. 1889 წლის 17 მარტიდან იგი უკვე ტანვარჯიშის დაქირავებული მასწავლებელია ამ პროგიმნაზიაში.

გაბაშვილი სინდისიერი კაცი გამომდგარა, მალე უგრძვნია თავისი ცოდნის სიღარიბე და მის შესავსებად, აგრეთვე, პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად დაუწყია ზრუნვა. 1891 წლის 17 მაისს მან განცხადება შეიტანა ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექტორის სახელზე, წერდა, რომ სურდა მიეღო ტანვარჯიშის მასწავლებლის წოდება, რისთვისაც მიემგზავრებოდა პეტერბურგს ტანვარჯიშის დროებითი კურსების გასავლელად, ითხოვდა შვებულებას 1 სექტემბრამდე და ცნობას, რომ 1888 წლის ოქტომბრიდან იყო ქუთაისის პროგიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებელი.

გაბაშვილმა დასახელებული კურსები დაამთავრა და პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველისგან მიიღო სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლის ტანვარჯიშის მასწავლებლის მოწმობა № 7541, რომელსაც თარიღად 1891 წლის 28 აგვისტო უზის.

1897 წლიდან ქუთაისის პროგიმნაზია რეალურ სასწავლებლად გადაკეთდა, გაბაშვილი ისევ ტანვარჯიშის მასწავლებლად დარჩა. სასწავლებლის ხელმძღვანელობამ 1898 წელს მოახერხა მისთვის დამატებით მიეცა 60 მანეთი სპეციალური სახსრებიდან. იგივე გამეორდა 1899 და 1900 წლებში. ასევე გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლეს დაენიშნათ იგი კლასის დამრიგებლის თანაშემწის თანამდებობაზე. ბოლოს, 1902 წლის 8 აგვისტოს, კლასის დამრიგებლის თანაშემწე იასონ ბესარიონის ძე გაბაშვილი, როგორც იქნა, დამტკიცდა „კოლეჟსკი სეკრეტარის" ჩინში, რითაც ხელფასი მოემატა და იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა ჯერ კიდევ 1891 წელს აღებული ვალების გასტუმრებას.

ეს მოკლე ისტორია ხელშესახებად და თვალნათლივ არკვევს რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება ტანვარჯიშის ჩვეულებრივ რიგით მასწავლებელს, განსაკუთრებით, ადგილობრივ მკვიდრთაგან და როგორი მოხერხების გაღება იყო საჭირო, რომ მას პეტერბურგის ორთვიანი თუ სამთვიანი ტანვარჯიშული კურსების გავლა მოეხერხებინა.

დღემდე შემონახული ცნობებით აშკარად ჩანს, რომ სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა დიდ ანგარიშს უწევდა გაბაშვილის ცოდნასა და გამოცდილებას. სხვა შემთხვევაში მას არ შეიყვანდნენ იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელსაც დაევალა სასკოლო ტანვარჯიშისა და თამაშობების მასწავლებლების მოსამზადებელი კურსების პროგრამის წინასწარ გადასინჯვა, შესწავლა და ადგილობრივი პირობებისადმი შეხამება. ეს კურსები დაარსდა ქუთაისში 1909 წლის ზაფხულში.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც ი. გაბაშვილს გარდა შედიოდნენ ი. ქეიშვილი (ქუთაისის ექვსკლასიანი სასწავლებლიდან), ა. ნიკოლაუ (ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლიდან) და თვით გლუშკოვი (ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი), მნიშვნელოვანი თეორიული ხასიათის სამუშაო ჩაატარა, რის შედეგადაც პროგრამის ქუთაისურ ვარიანტში საგრძნობლად შემცირებულია ძალისმიერი ვარჯიშები იარაღებზე (მაგალითად, ღერძზე, ორძელზე) და გეზი უმთავრესად აღებულია ჩეხური ტანვარჯიშული სისტემისთვის დამახასიათებელი პროგრესული მხარეების, სახელდობრ, თავისუფალი ვარჯიშებისა და თამაშობების ფართოდ წარმოდგენისკენ. ამდენად, საქმე გვაქვს საკითხის მოწინავე პედაგოგიური თვალსაზრისით გადაჭრასთან, რაც ძირითადად გაბაშვილის დამსახურება უნდა ყოფილიყო, რადგან კომისიის შემადგენლობაში იგი ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ერთადერთი ტანვარჯიშის მასწავლებელი იყო.

საყურადღებოა, რომ 1909 წელს იასონ გაბაშვილმა მოიწადინა თვითონაც გაევლო სასკოლო ტანვარჯიშისა და თამაშობების მასწავლებელთა მოსამზადებელი მოკლევადიანი საზაფხულო კურსები, მაგრამ გაევლო არა ქუთაისში, სადაც მისთვის გაცილებით იოლი იყო ეს, არამედ თბილისში. ამის მიზეზად იგი იმ მოტივს ასახელებდა, რომ სურდა კურსების გავლასთან ერთად გასცნობოდა თბილისის სკოლებში ტანვარჯიშისა და საერთოდ, ფიზიკური აღზრდის მდგომარეობას. მან ორივე ამ მიზანს მიაღწია კიდეც.

კურსები გაბაშვილმა დიდი წარმატებით გაიარა და 88 მოსწავლიდან იმ მცირერიცხოვანთა შორის მოხვდა, რომლებმაც ყველა საგანში „ფრიადი" შეფასება დაიმსახურეს.

იასონ გაბაშვილის ტანვარჯიშული გაკვეთილის შინაარსისა და ხასიათის შესახებ უშუალო ცნობები არც ადრეული და არც 1909 წლის კურსების გავლის შემდგომი პერიოდისთვის არ გაგვაჩნია, მაგრამ ეს შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი მასალის მიხედვით.

1909 წლის ოქტომბერში ქუთაისში, თბილისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა „სოკოლური ექსკურსია — მოგზაურობის" დროს ადგილობრივი რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს „სოკოლთა" თამაშობების რამდენიმე ნომერი და შესანიშნავი პირამიდა, აგრეთვე ქართული ცეკვა შეუსრულებიათ. იმ ხანად ამ სასწავლებლის მოსწავლე, ფიზიკური აღზრდის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი მიხ. გორგაძე არათუ ადასტურებს რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა ამ გამოსვლას, მიუთითებს კიდეც, რომ მათ „დამსწრეებს უჩვენეს ეროვნული ხასიათის ტანვარჯიშული ცეკვები, „ხორუმი", „გუნდობები" და მოძრავი თამაშობანი", რომ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში 1909-1910 წლებშიც ფართოდ იყო გამოყენებული ქართული ხალხური ცეკვები — ხორუმი, ფერხული და სხვ. და რომ ტანვარჯიშის მასწავლებელ ი. გაბაშვილის მეთვალყურეობით დიდი დასვენების დროს სასწავლებელში სისტემატურად, კვირაში ორ-სამჯერ იმართებოდა ლელობურთის ორგანიზებული თამაში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ დროისთვის სასწავლებელს გააჩნდა მოედანი, რომელზედაც 1909 წელს ეს ღონისძიება ჩატარდა.

საკითხზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა პროგრამა იმ ტანვარჯიშული კურსებისა, რომელიც ი. გაბაშვილისა და სერგო თოფურიას (ქუთაისის I საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი) ხელმძღვანელობითა და ექიმ ტყეშელაშვილის მონაწილეობით მოეწყო ქუთაისში, რეალურ სასწავლებელთან, 1914 წლის 12 ივნისიდან 10 ივლისამდე.

კურსები 40-მა მსმენელმა გაიარა. პროგრამა შეიცავდა როგორც თეორიულ (ტანვარჯიშის ისტორია, ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ტანვარჯიშული სისტემების, იარაღის, თამაშობების და ა. შ. დახასიათება), ისე პრაქტიკულ კურსს. პრაქტიკული კურსი ითვალისწინებდა თამაშობებს, სიმღერით თამაშობებს, თავისუფალ ვარჯიშებს, ტანვარჯიშულ მწყობრს, ხტომებს, კიბეებზე (შვეული, დახრილი, თარაზული), შვეულ ლატნებზე, ბაგირებზე და ორძელზე ვარჯიშს, საცდელი გაკვეთილების ჩატარებასა და საერთოდ, სახალხო სკოლის ტანვარჯიშის მასწავლებლის პრაქტიკას. გეზი უმთავრესად აღებული იყო ჩეხური ტანვარჯიშული — „სოკოლური" სისტემისკენ. პროგრამაში სრულიად არ ჩანს ვარჯიში ისეთ ძალისმიერ იარაღებზე, როგორიცაა ღერძი, ტაიჭი, რგოლები. ეს მოვლენა უთუოდ მოასწავებს ტანვარჯიშის შვეციური სისტემის გავლენას, რასაც, როგორც აღინიშნა, გაბაშვილი ადრევე უნდა ყოფილიყო გაცნობილი.

1916-1917 წლებში გაბაშვილი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ხელმძღვანელობდა უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო მომზადებას — „სპორტის მობილიზაციის" საგანგებო სახელმწიფო პროგრამის მიხედვით.

იასონ გაბაშვილი, როგორც ამას ბოლო დროს მიუთითებენ, ყოფილა ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოების — „სოკოლის" ხელმძღვანელიც, მაგრამ ეს საკითხი დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს და მის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

ი. გაბაშვილი 51 წლისა გარდაიცვალა. იგი მთელი 31 წლის მანძილზე განუწყვეტლივ, ერთგულად ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს. ტანვარჯიშის პირველი ქართველი მასწავლებელი უდავოდ ღირსია შესაფერი პატივისცემისა და კეთილად მოხსენიებისა.

ზ. შერაზადიშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# კვლავ

## ვადაზე ადრე

წლეულს, მარტში მ. თორეზის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ის უკვე მეოთხედ მოიპოვა I ადგილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის. სასწავლებელმა ღია კომკავშირულ კრებაზე იკისრა ვალდებულება ვადამდე, პროფტექნიკური განათლების სისტემის X საიუბილეო-საკავშირო სპარტაკიადის გახსნის დღისთვის, — 7 აგვისტოსთვის შეესრულებინა სპორტსმენ-თანრიგოსანთა, ნიშნოსანთა, საზოგადოებრივი მსაჯებისა და ინსტრუქტორების, სსრკ ტურისტების მომზადების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა.

მათი სიტყვა და საქმე ერთია. სასწავლებელში იმთავითვე გაჩაღდა სისხლსავსე ფიზკულტურული მუშაობა... და აი, 30 ივლისს სასწავლებლის ძირეული ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს მ. ჩიხლაძესა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ნიკიფოროვ-დენისოვს გეგმის ვადამდე შესრულება უპატაკა. მომზადდა: 11 პირველთანრიგოსანი (ნაცვლად 10-ისა), 90 — II-თანრიგოსანი (ნაცვლად 45-ისა), 226 — III-თანრიგოსანი (ნაცვლად 120-ისა). ჭაბუკთა თანრიგი 240-ის ნაცვლად შეასრულა 312-მა მოსწავლემ. მშთ პირველი საფეხურის ნორმა — 221-მა (გეგმა 150-ს ითვალისწინებდა). მომზადდა 354 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი (გეგმით — 101), 310 — საზოგადოებრივი მსაჯი (გეგმით — 95), 170 — სსრკ ტურისტი (გეგმით — 50), 52 — მშთ ნიშნოსანი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25-ისა.

ს. ულენტი.

# მხოლოდ სამი გუნდი

ამ დღეებში ქუთაისში გაიმართა რესპუბლიკის III პირად-გუნდური პირველობა მშვილდოსნობაში. ასპარეზობა გაიმართა 70, 50 და 30 მეტრზე სროლაში ვაჟთა და ჭაბუკთათვის, 60, 50 და 30 მეტრზე ქალთა და გოგონებისათვის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის (2) ნაკრები გუნდები.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა დაისაკუთრეს ქუთაისელებმა. მათვე დარჩათ II ადგილიც. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის 30 მეტრზე სროლასა და საერთო ჯამში პირველი ადგილი და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ვ. ასათიანმა (ქუთაისის პედინსტიტუტი). 50 და 70 მეტრზე სროლაში ტოლი არ ყავდა ა. კურასპეტიანს (ქუთაისის პედინსტიტუტი). ჭაბუკებში სამივე მანძილზე უძლიერესი იყო ზ. დვალიშვილი, რომელმაც რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.

ქალთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი კვლავ გახდა მ. ცხოვრებოვა. გოგონათა შორის რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონია ნ. შენგელია.

აღსანიშნავია, რომ მშვილდოსნობა, როგორც სპორტის სავალდებულო და აუცილებელი სახეობა, გარდა ქუთაისისა და ცხინვალისა, ნავარაუდევია თბილისისთვის, ბათუმისთვის, სოხუმისთვის, გორისთვის, რუსთავისთვის და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოჩამოთვლილი ქალაქებიდან არც ერთი სპორტსმენი არ ჩამოვიდა.

რესპუბლიკის უძლიერეს მშვილდოსნებისგან დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაში.

შ. ჯაშიაშვილი.



თბილისის ზღვაზე გამართული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. ხაიკოვისა.

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი



## არგენტინელები უკმაყოფილონი არიან

წვიმისა და ძლიერი ქარის მიუხედავად, ბუენოს-აირესის საერთაშორისო აეროდრომი დაზხვდურებით იყო გაჭედილი. აქ შეიკრიბა ათასობით კაცი, რათა ზაზეიმო შეხვედრა მოეწყო არგენტინის ნაკრებისთვის, რომელიც ლონდონიდან ბრუნდებოდა. ჟურნალისტებმა ტრაპზევე აიღეს პირველი ინტერვიუ.

— ჩვენ უნდა მოგვეგო ინგლისისთვის, — განაცხადა ნაკრების კაპიტანმა რატინმა. — არაფერი დამიშავებია ისეთი, რომ მსაჯს მოედნიდან გავეძევებინე. როგორც კაპიტანს, მსურდა გამოველაპარაკებოდი მას. იგი კი ხელს მკრავდა და გულმოსული მიყვიროდა: „რაუს!“ „რაუს!“ — „უკან!“ „უკან!“. საწყენია, რომ ჩვენ მოგვიგო საშუალო ძალის გუნდმა.

ტურნირის ორგანიზატორების მისამართით უფრო გარკვეული აზრი გამოთქვა არგენტინის ნაკრების თავდამსხმელმა ონეგამ:

— მითი ინგლისური კორექტულობისა და წესიერების შესახებ, საპნის ბუშტივით გასკდა. ყველა დავრწმუნდით, რომ ლონდონში მოაწყეს ნამდვილი შეთქმულება, რომლის მიზანი ინგლისისთვის არც თუ სასურველი მეტოქეების — სამხრეთ ამერიკის გუნდების თავიდან მოცილება გახლდათ.

ინგლისს რევანში სწყუროდა და რისკზე წავიდა. იგი არ მოერიდა მრუდე გზით სვლას, რადგან პატიოსანი ბრძოლით მიზანს ვერ მიაღწევდა.

## კვლავ ინთებოდნენ ელნათურები

ლონდონის ელექტროკომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „21 საათსა და 15 წუთამდე, ე. ი. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების დამთავრებამდე, ინგლისის დედაქალაქის მცხოვრებლები ხარჯავდნენ 14.800.000 კილოვატ-საათ ელექტროენერგიას. მაგრამ მატჩების დამთავრებიდან 10 წუთის შემდეგ ეს ციფრი 17.000.000-მდე ადიოდა“.

კომპანიის ხელმძღვანელმა ეს ამბავი ასე განმარტა:

— „თამაშის დროს მილიონობით ადამიანი ტელეეკრანებზე უყურებდა ფეხბურთელთა ასპარეზობას. მაგრამ როგორც კი მატჩები დამთავრდებოდა, ცხოვრება თავიდან იწყებოდა: ინთებოდა ელნათურები, კვლავ ამუშავდებოდნენ ელექტრომოწყობილობანი და სარეცხი მანქანები... ინგლისელებს მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდებოდათ, რომ ამ ქვეყნად მარტო ფეხბურთი როდი არსებობს“.

## დიდ სისწრაფეთა ოსტატი

ცნობილ საბჭოთა მოტომრბოლელს ნიკოლოზ სევასტიანოვს ხშირად აძლევენ ასეთ კითხვებს: „რატომ გახდით მოტომრბოლელი?“, „როგორ შეძელით 16-ჯერ მოგეპოვებინათ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება?“

სევასტიანოვს ორც კი ახსოვს, როდის „მიიზიდა“ იგი მოტოციკლმა. ბავშვობაში იგი დიდ დროს ატარებდა მანქანასთან იმიტომ, რომ მამამისი იმ ხანებში ქალაქში ცნობილი ავტომობილისტი იყო. ყოველ ბიჭუნას თავისი ოცნება აქვს, პატარა კოლიაც ფიქრობდა დიდ სისწრაფეზე და სურდა მრბოლელი გამხდარიყო. ბაბუკი ხშირად ესწრებოდა მოტოციკლისტთა შეჯიბრებებს როსტოვის სტადიონზე. გულმოდგინედ აკვირდებოდა თავის მეგობრებს — ძმებს სტეპანოვებს და ძალზე სურდა მათსავით მოქნილი და ძლიერი ყოფილიყო. სწორედ ამ ძმებმა მიიყვანეს იგი „მედიკის“ სპორტულ კლუბში; დაიწყო დაძაბული და შეუპოვარი ვარჯიში გამოცდილი მწვრთნელის — ა. სტეპანოვის ხელმძღვანელობით.

1947 წელს სევასტიანოვი მოსკოვის უძლიერესი მოტომრბოლელია, მომდევნო წელს — პროფკავშირების ჩემპიონი. 1949 წელს სსრ კავშირის პირველობაზე მან დაისაკუთრა მესამე ადგილი კროსში და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. სევასტიანოვის სპორტულ ბიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1952 წელი: ტალინში გამართულ შეჯიბრებაზე იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა კროსში და შემდეგ ოქროს მეორე მედალი მოიპოვა საგზატკეცილო-სარკალო შეჯიბრებაში.

1960 წლიდან სევასტიანოვი თავის ძალას მთლიანად ახმარს საგზატკეცილო-სარკალო რბოლებს. ყველაზე დიდ წარმატებად იგი თვლის მეორე ადგილის მოპოვებულს „დიდ პრიზზე“ შეჯიბრებაში (იგი გაიმართა ფინეთში, 1962 წ.). ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 27 ქვეყნის სპორტსმენები, რომელთა შორის იყვნენ საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები.

სევასტიანოვი კარგა ხანია დაკავშირებულია ქალაქ სერპუხოვის მოტომშენებლობის ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროსთან. კონსტრუქტორებთან და ინჟინრებთან ერთად მონაწილეობს ახალი სამამულო მანქანების გამოცდაში.

— საგზატკეცილო - რკალური რბოლები მოტოსპორტის ის სახეობაა, სადაც ჩვენი სპორტსმენები სამამულო მანქანებით გამოდიან, — ამბობს ნ. სევასტიანოვი — საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენ საბჭოთა მოტომშენებლობის წარმომადგენლები ვართ, ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი ყოველმხრივ დავეხმარო მოტომშენებლებს.

ცნობილი საბჭოთა მრბოლელი დიდად არის დავალებული ცსკა-ს კოლექტივისაგან და მწვრთნელებისაგან, რომელთაც იგი დიდი სპორტის გზაზე დააყენეს. სწორედ მათი წყალობით სევასტიანოვმა განვლო გზა ახალბედიდან სსრკ სპორტის ოსტატის საპატიო წოდებამდე. ამჟამად იგი ემზადება ახალი სტარტებისთვის და დიდ დროს უთმობს მზადებას სსრ კავშირის პირველობისათვის, რომელიც ამ თვეში გაიმართება რიგასა და ტალინში.

**ე. ნესტოროვსკი.**

აპნ-ი.





ფინალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის. ინგლისელ ფორვარდს ჯ. ჰერსტს პირველი ბურთი გააქვს გერმანელთა კარში (ზემო სურათი).

•

ქვემო სურათზე აღბეჭდილია ამავე მატჩის მომენტი. ინგლისელი მოთამაშეები ჯ. კოენი (მარცხნივ), მ. პიტერსი (ცენტრში) და დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ლ. ემერიხი ბურთისთვის ბრძოლის დროს.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა.

## ცნობები მინსკიდან

**მინსკი**, 1 აგვისტო (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს **ფრენბურთელმა** ქალებმა, რომლებმაც მოუგეს ძლიერ მეტოქეს — კიევის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის გუნდს — 3:2 (15:8, 10:15, 14:16, 15:7, 15:13). საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებს ერთი წაგება აქვთ და II ადგილისთვის იბრძვიან (დარჩენილია მხოლოდ ერთი შეხვედრა). კვლავ დამარცხდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელი ვაჟები, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდთან — 0:3.

**ტანმოვარჯიშეთა** ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ნ. მაკალათია პირველი დღის შემდეგ მრავალჭიდში II ადგილზეა.

**მძლეოსნობაში** ლ. დარახველიძემ I ადგილი დაიკავა სამხტომში (15,95 მეტრი). შუბის ტყორცნაში კ. გორძემაშვილი II იყო — 75,17 მ. სიმაღლეზე ხტომაში თ. მდივანმა მხოლოდ ცნობილ სპორტსმენ სკვორცოვთან წააგო და II ადგილით დაკმაყოფილდა. მისი შედეგია 207 სმ. საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში ა. კორნეიჩუკმა — 3.51,2, რამაც მას მხოლოდ VI ადგილი მოუტანა. ქალთა ესტაფეტაში 4×100 მ საქართველოს მძლეოსნები ნ. გაბეხაძე, თ. როჟმანოვა, ლ. შუმილინა, გ. კონონენკო III იყვნენ — 49,2, ხოლო ვაჟებმა იგივე სახეობაში II ადგილი დაიკავეს — 42,0 (ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: რ. მამალაძე, ა. ანტონოვი, ჯ. სხულუხია, ი. კოზელსკი). გაგვახარა ი. კოზელსკიმ, რომელმაც 400 მეტრზე თარჯრბენში ოქროს მედალი მოიპოვა — 52,6. 100 მეტრზე ქალთა თარჯრბენში ნ. გაბეხაძე V იყო, ხოლო 10 კილომეტრზე რბენაში გ. ვირჩენკო — VI. ვაჟთა ესტაფეტაში 4×400 მეტრზე კოზელსკიმ, სხულუხიამ, ლოგუნოვმა და პრიმინმა V ადგილი დაიკავეს. მათი დროა 3.19,0. საქართველოს მძლეოსნებმა შეჯიბრება 59 ქულით დაამთავრეს, რაც უდავოდ კარგი შედეგია.

**კალათბურთელთა** ტურნირში კვლავ წარმატებით გამოდიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები. ვაჟებმა დაამარცხეს ბაქოს ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდი — 67:58, ხოლო შემდეგ მოუგეს ყაზახეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებსაც — 68:49. ქალებმა დაამარცხეს ყაზახეთის უნივერსიტეტის სპორტსმენები — 54:47, ხოლო შემდეგ მოულოდნელად წააგეს როსტოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივთან — 46:47.

კარგად გამოდიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ხელბურთელები**, რომლებიც თავიანთი მოწინავე სპორტსმენების გარეშე თამაშობენ. მათ მოუგეს მოსკოვის ფიზიკის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს — 17:15.

დამთავრდა ასპარეზობა **სროლაში**. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში (3×20) ქალთა შორის ტ. სარჩველაძე VI ადგილზე გავიდა — 543 ქულა. მსროლელებმა დააგროვეს 34 ქულა და გუნდურ ჩათვლაში II ადგილი დაიკავეს.

უნივერსიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში დღეისთვის ასეთი მდგომარეობაა: მოსკოვი — 339,5 ქულა, რსფსრ — 306, საქართველო — 285,5, ბელორუსია — 242, უკრაინა — 199,5, ლენინგრადი — 196,5.

**ჯ. ენუქიძე.**

# სპორტული აგვისტო

აგვისტოში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები 68 საერთაშორისო შეჯიბრებასა და ოფიციალურ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას ზაფხულის ამ უკანასკნელ თვეზე მსოფლიოს 6 და ევროპის აბდენივე ჩემპიონატი მოდის.

შვეციაში გაიმართება სტუდენტთა გუნდების საჭადრაკო ოლიმპიადა. იგი დამთავრდება 14 აგვისტოს. 19 აგვისტოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტარტს აიღებს მსოფლიოს პირველობა საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, ხოლო ერთი დღის შემდეგ გფრ-ში დაიწყება მსოფლიო პირველობის გათამაშება საგზატკეცილო ველორბოლასა და ტრეკზე. ეს მეტად საინტერესო ტურნირი 9 დღეს გასტანს

25-28 აგვისტოს შვეიცარიაში ჩატარდება მსოფლიო პირველობა ცხენის გაწვრთნაში, ხოლო 27-31 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიაში თანამედროვე ხუთჭიდელთა ჩემპიონატი (ჭაბუკებში,) 31 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიაშივე სტარტს აიღებს მსოფლიო პირველობა ფრენბურთში ვაჟთა შორის.

გაიმართება მთელი რიგი შეჯიბრებები ევროპის პირველობაზეც. ასე მაგალითად დანიაში იასპარეზებენ ნორჩი ცხენოსნები (18 აგვისტოდან). 10-20 აგვისტოს ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გაიმართება ევროპის პირველობა ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში. 22 აგვისტოს იტალიაში დაიწყება ჭაბუკ კალათბურთელთა ტურნირი, ხოლო 23 აგვისტოს — შვეციაში ევროპის პირველობის გათამაშება საიალქნო სპორტში („ვარსკვლავის" კლასში). 26 აგვისტოს ამსტერდამში სტარტი მიეცემა ევროპის უძლიერეს ნიჩბოსან ქალთა ტურნირს. აგვისტოს უკანასკნელ დღეს კი ბუდაპეშტში აღიმართება მძლეოსანთა ევროპული პირველობის ალამი.

ზაფხულის უკანასკნელი თვე გადატვირთულია ფეხბურთელთა საერთაშორისო მატჩებითაც. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები შეხვდებიან საფრანგეთის, რუმინეთის, ირანის, ავსტრიის, ლიბანისა და ავღანეთის საკლუბო კოლექტივებს 18-27 აგვისტოს იტალიაში მოეწყობა ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირი.

ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა ჩვენს ჩოგბურთელებსაც. აგვისტოს პირველ რიცხვებში ისინი გაემგზავრებიან გფრ-ში, ხოლო შემდეგ ჩამოვლენ მოსკოვში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ჭაბუკთა და გოგონათა კოლექტივები ამავე პერიოდში (14-21 აგვისტო) გამოვლენ კიევში.

ზაფხულში იწყებენ სამზადისს ზამთრის სპორტის სახეობათა წარმომადგენლები. ასე მაგალითად, მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტები აგვისტოში გამოვლენ იტალიისა და ავსტრიის ხელოვნურ საციგურაოებზე. ჩვენი მოთხილამურეები და ორჭიდელები გაემგზავრებიან გდრ-ში, სადაც ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად რამდენიმე ამხანაგურ შეჯიბრებას გამართავენ.

აგვისტოში ბევრი საერთაშორისო შეხვედრა ელით საქართველოს სპორტსმენებსაც. თბილისში გამოვლენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კალათბურთელი ქალები და თურქეთის ვაჟთა ნაკრები გუნდი. მოსალოდნელია ბელგიის უნივერსიტეტის კალათბურთელთა სტუმრობაც. საქართველოს უძლიერესი სამბისტები 15 აგვისტოს გაემგზავრებიან ბულგარეთში და მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერთაშორისო ტურნირში. 17 აგვისტოს სოფიას ეწვევიან საქართველოს სატრეკო ველოსპორტის წარმომადგენლები, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ბულგარელი ველოსიპედისტები საპასუხო ვიზიტით თბილისში ჩამოვლენ. 18-20 აგვისტოს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ადგილობრივი სპორტსმენები.

პ. ხაჩიძე.

# იაპონელთა პრეტენზიები

20-25 სექტემბერს დორტმუნდში გაიმართება მსოფლიო პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა ქმედით საქმიანობას. შეჯიბრების ქვაკუთხედს, რა თქმა უნდა, იაპონიისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა დუელი წარმოადგენს, ამიტომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ყველა ზომას მიმართეს, რათა ამ ქვეყნების სპორტსმენთა გამოსვლა შეუფერხებლად ჩატარდეს. უკვე ცნობილია, რომ საბჭოთა და იაპონელი ტანმოვარჯიშეები მოხვდნენ III ჯგუფში. ისინი შეჯიბრებას საღამოს 10 საათის შემდეგ დაიწყებენ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მოისმინეს იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელთა თხოვნა და ხანგრძლივი კამათის შემდეგ ზოგიერთი მათგანი დააკმაყოფილეს. რას მოითხოვენ იაპონელები?

პირველ რიგში დარბაზის 4 სხვადასხვა წერტილში ადგილებს კინოაპარატებისა და ოპერატორებისთვის. იაპონელებს განზრახული აქვთ სასწავლო მიზნებით მსოფლიოს ყველა უძლიერესი ტანმოვარჯიშის გამოსვლის კინოფირზე აღბეჭდვა. ამომავალი მზის ქვეყნის დელეგატებს მოუხდათ იმის მტკიცება, რომ კინოგადაღებას ექნება მხოლოდ-დამხოლოდ სასწავლო მნიშვნელობა და არავითარ შემთხვევაში — კომერციული (როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ არასრულმეტრაჟიან ფილმს ერთ-ერთი გერმანული კინოფირმა იღებს. მან ამ მიზნით საორგანიზაციო კომიტეტს საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადა).

შემდეგ, იაპონელებმა ჟურნალისტების აკრედიტაციისთვის გამოყოფილ ადგილებზე გაცილებით მეტი მოითხოვეს. საორგანიზაციო კომიტეტი თავდაპირველად კატეგორიული უარით შეხვდა ამ პრეტენზიას, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, იგი ამ საკითხშიც დათმობაზე წავიდა.

იაპონელთა III მოთხოვნას წინ აღუდგნენ ჩემპიონატში მონაწილე სხვა ქვეყნების დელეგატები. საქმე ისაა, რომ იაპონელებს შეჯიბრების დღეებში თავიანთი გუნდის დაბინავება ქალაქგარე პანსიონატში სურდათ, რაზედაც მტკიცე უარი მიიღეს. საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეჯიბრების მონაწილენი ერთნაირ პირობებში უნდა ცხოვრობდნენ და ამ მხრივ უპირატესობას ვერც ერთი მონაწილე გუნდი ვერ მიიღებს, თვით მასპინძლებიც კი.

# მოკლე ამბები

● პეტროზავოდსკი, 1 აგვისტო. ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IX ტურში ახალგაზრდა ომსკელმა ა. კისლოვამ მოუგო რსფსრ-ს 3-გზის ჩემპიონ კ. სკეგინას და ამ მოგებით ოსტატობა შეასრულა. ახლა ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს — კისლოვა და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ტ. ზატულოვსკაია, რომლებსაც 7-7 ქულა აქვთ.

● ჰელსინკი, 1 აგვისტო. უკანასკნელი ორი ტურის წინ 250 კბ სმ მანქანებით მსოფლიო ჩემპიონატში 58 ქულით I ადგილზეა შვეციელი ტ. ჰალმანი. მან სწორედ აქ გამართულ მოტორბოლაში უზრუნველყო თავისთვის მსოფლიო ჩემპიონობა, თუმცა ამ ეტაპზე II იყო. გაიმარჯვა მისმა თანამემამულემ ო. პეტერსონმა. საბჭოთა მოტომრბოლელი ვ. არბეკოვი 22 ქულით VII ადგილზეა.

● ჰააგა, 1 აგვისტო. ჰოლანდიელი სტაიერი ნ. ოპდენოორტი პირველია, რომელმაც 5000 მეტრი 14 წუთზე უსწრაფესად გაირბინა. ჰოლანდიის ახალი რეკორდი ახლა 13.59,8 უდრის. ეს შედეგი სპორტსმენმა უჩვენა ბელგიის, დანიისა და ჰოლანდიის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრაში.

● ლოს-ანჯელოსი, 1 აგვისტო. საერთაშორისო შეჯიბრებაზე 50-მეტრიან აუზში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 16 წლის კ. კოლბმა, რომელიც ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელია. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კოლბმა აჩვენა 2.28,0. ეს შედეგი არამცთუ მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს (2.29,9) აღემატება, არამედ უკეთესია მისსავე თანაგუნდელ ლ. ვიდალის მიერ გასულ კვირას ნაჩვენებ შედეგზეც — 2.29,0.

# ევროპიელთა უპირატესობა აშკარაა

როგორც ცნობილია, მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში ჩილის ტერიტორიაზე გაიმართება. სწორედ ამიტომ, ამ ქვეყნის ზამთრის სახეობათა ფედერაცია მთელ რიგ საერთაშორისო შეხვედრებს აწყობს. შეჯიბრებებში მონაწილეობენ მსოფლიოს უძლიერესი სამთო-მოთხილამურეები, მეტწილად ავსტრიის, სკანდინავიის ქვეყნებისა და საფრანგეთის სპორტსმენები.

ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ამას წინათ ფარელონესში (ჩილის საკურორტო ქალაქი) გაიმართა. საერთო ყურადღების ცენტრში იყო ქალთა სლალომი, რომლის სტარტზე უნდა გამოსულიყვნენ ავსტრიელი ხ. ციმერმანი, ფრანგი მ. გოიჩელი და სხვ. 1300-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 380 მ. 30 კარი) ყველაზე სწრაფად ხ. ციმერმანმა გაიარა — 1.20,1. II ადგილი წილად ხვდა ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს მ. გოიჩელს, ხოლო III — ახალგაზრდა, აქამდე უცნობ ავსტრიელ გოგონას ი. იუხუმს.

ჩილის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ევროპიელ სამთო-მოთხილამურეებს და აღნიშნავს, რომ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა უმთავრესად მათ შორის გაიმართება. ევროპიელებს კონკურენციას გაუწევს მხოლოდ რამდენიმე იაპონელი და ამერიკელი მოთხილამურე.



რეკორდისკენ...

ფოტო ა. სააკოვისა.

▲ ოსლო. ჩეხოსლოვაკიისა და ნორვეგიის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრაში დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს სტუმრებმა — 133:79.

▲ მელბურნი. მიმდინარე სეზონს ავსტრალიელი მძლეოსნები მაღალი შედეგებით აღნიშნავენ. კვლავ ისახელა თავი სიმაღლეზე მხტომელმა რეკხამმა, რომელმაც ერთი კვირის მანძილზე ორჯერ აჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგი (215 და 216 სმ). ქალთა შორის მძლეოსნობის ამ სახეობაში კარგად გამოდის მეიზენი (178 სმ).

▲ რომი. გაიმართა კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების 2 სამატჩო შეხვედრა. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის გუნდი — 69:39, ხოლო საფრანგეთმა —. იტალია 35:31.

▲ ბუქარესტი. რუმინეთის მძლეოსანთა შერჩევით შეჯიბრებაში ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. ასე მაგალითად, 100 და 200 მეტრზე რბენაში I ადგილი დაიკავა ზემფირესკუმ. მისი დრო — 10,3 და 20,9 ახალი ეროვნული რეკორდებია.

▲ ლოს-ანჯელოსი. აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ინგლისის მძლეოსანთა ამხანაგური შეჯიბრება. ესტაფეტაში 4×100 მეტრზე გაიმარჯვეს ავსტრალიელებმა — 40,1. ასეთივე შედეგით ფინიშთან II იყო აშშ-ის II გუნდი. III ადგილი დაისაკუთრა აშშ-ის I გუნდმა — 42,1. ბირთვის კვრაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ამერიკელ მატსენს — 20 მ. 32 სმ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 04997